ხელშეკრულება №46
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 აგვისტო 2014 წელი

ერთი მხრივ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი აპარატის უფროსის რევაზ გერგედავას სახით და მეორე მხრივ, შპს „კია მოტორს ჯორჯია" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ბაჩიაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N **SPA140019016** გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს (გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით) "სედანები"-ს (cpv კოდი: 34111200) შესყიდვა.
2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება და აღწერილობა განსაზღვრება **დანართი #1**-ის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **26 484 (ოცდაექვსი ათას ოთხას ოთხმოცდაოთხი)** ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს (მ/შ ავტომანქანის აქციზის ღირებულებას; ავტოსატრანსპორტო საშუალების შემსყიდველზე გადაფორმების ხარჯებს) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
3.3 მისაწოდებელი საქონლის რაოდენობაა 1 **(ერთი ავტომობილი)**
3.4 მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი შეადგენს **26 484 (ოცდაექვსი ათას ოთხას ოთხმოცდაოთხი)** ლარს.
3.5. ავტომანქანის ჯამური საორიენტაციო ღირებულება ფლობის ღირებულების კომპონენტების მიხედვით მოცემულია ხელშეკრულების **დანართი #1-ში.**

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ვაჟა ფშაველას #16-ში.
6.2. **საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების შესყიდვის მიზნით, დანართი #1 2.1 პოზიციის შესაბამისად შემოთავაზებული ფასითა და პირობებით გააფორმოს ხელშეკრულება „მიმწოდებელთან" გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რა დროსაც ძალაში რჩება ავტომობილის საგარანტიო პირობები.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

7.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების დანართი #1 2.1 პოზიციის შესაბამისად შემოთავაზებული ფასითა და პირობებით გააფორმოს „შემსყიდველთან" ხელშეკრულება საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების მიწოდების მიზნით, წინამდებარე ტენდერის ფარგლებში შეძენილი ავტომობილის საგარანტიო პირობების შენარჩუნების პირობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია

12.1 მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება გარანტია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან ხელშეკრულების დანართი #2-ით გათვალისწინებული პირობებით.

12.2 საგარანტიო პირობები განისაზღვრება დანართი #2-ით, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო მომსახურების ნაწილში ხელშეკრულების მე-12 პუნქტის შესაბამისად, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ ნაწილში 2014 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით .

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარმნიშვნელოვან, იდენტურ ეგზემპლიარად.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	შპს "კია მოტორს ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #16	მის: მცხეთა, აღმაშენებლის ქ. 3300
საიდენტიფიკაციო კოდი 249250484	საიდენტიფიკაციო კოდი 236096675
სს "პრივატბანკი"	სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: CAVOGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა № GE55TP0034080020001139	ა/ა № GE55BG0000000221862100
---	---
პარლამენტის აპარატის უფროსი	დირექტორი
რევაზ გელოდანი	მეხეილ ბაჩიაშვილი

ფასების ცხრილი:

1. მუსუბუქი ავტომანქანა

შესყიდვის ობიექტი	ავტომობილის მარკა და მოდელი	რაოდენობა (ცალი)	ერთეული სატრანსპორტო საშუალების ღირებულება	ერთეული სატრანსპორტო საშუალების საგარანტიო ფასიანი მომსახურების პირობითი ღირებულება (100 000 კმ-ზე)	ერთეული სატრანსპორტო საშუალების მოხმარებული საწვავის პირობითი ღირებულება (100 000 კმ-ზე)	სულ შესყიდვის ობიექტის ერთეულის საორიენტაციო ღირებულება	ჯამური საორიენტაციო ღირებულება
1	2	3	4	5	6	7	8
მსუბუქი ავტომანქანა	KIA CERATO	1	26 484	2 016	6 500	35 000	35 000

2. საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების აღწერილობა და ფასების ცხრილი (1 ერთეული ავტომანქანისთვის)

დასახელება	ღირებულება
ავტომობილის ღირებულება	26 484
საგარანტიო მომსახურება	2016
საპასპორტო მონაცემით განსაზღვრული საწვავის წვა 100000კმ	6500
საორიენტაციო ღირებულება:	**35 000**

ტექნიკური მახასიათებლები

სასაქონლო მარკა	KIA CERATO
მწარმოებელი ქვეყანა	სამხრეთ კორეა
ძრავის მოცულობა	1.6
ცხენის ძალა	130
გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, 6 საფეხურიანი
სიგრძე	4560
სიგანე	1780
სიმაღლე	1445
წვა 100კმ/ზე	6.5 ლიტრი (საშუალო)
საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი) 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე, რომელიც ადრე შესრულდება
უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი) http://www.euroncap.com/tests/kia_cerato_2006/249.aspx
ელექტრო შუშები	ოთხივე
აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი
აუცილებელი მოთხოვნა	6 უსაფრთხოების ბალიში

აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი
აუცილებელი მოთხოვნა	აუდიოს სისტემა, Radio+CD+MP3 USB
აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი
აუცილებელი მოთხოვნა	ABS
აუცილებელი მოთხოვნა	უკანა საქარე მინის ელ. გათბობა

2.1 გეგმიური ფასიანი მომსახურების აღწერილობა

დასახელება	ერთ. ფასი	ერთეული მომსახურების ფასი	გარბენი 1000(კმ)	გარბენი 11000(კმ)	გარბენი 21000(კმ)	გარბენი 31000(კმ)	გარბენი 41000(კმ)	გარბენი 51000(კმ)	გარბენი 61000(კმ)	გარბენი 71000(კმ)	გარბენი 81000(კმ)	გარბენი 91000(კმ)	ჯამი
ძრავის ზეთი	100		80	80	80	80	80	80	80	80	80	80	800
ზეთის ფილტრი	20	12	32	32	32	32	32	32	32	32	32	32	320
ჰაერის ფილტრის	30	4			34		34		34		34		136
წინა სამუხრუჭე ხუნდი	140	18					158				158		316
უკანა სამუხრუჭე ხუნდის	100	18					118				118		236
კონდინციონერის ფილტრი	40	12			52		52		52		52		208
ანთების სანთელი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ძრავის ღვედი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ჯამი ლარში			112	112	198	112	474	112	198	112	474	112	2016

2.2 საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების მოწოდების მიზნით წინამდებარე ტენდერის ფარგლებში ამ პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ხარჯის გადახდა მიმწოდებლისთვის არ ხორციელდება. აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე წინამდებარე ტენდერში, დანართი N1-ის მე-2 პოზიციის შესაბამისად შემოთავაზებული ფასითა და პირობებით გაფორმდება ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ამავე ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ან მის მიერ განსაზღვრულ პირთან, რა დროსაც ძალაში რჩება ავტომობილის საგარანტიო პირობები. პრეტენდენტის მიერ განსაზღვრულ პირს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელთანაც შესაძლებელი იქნება გეგმიური ფასიანი მომსახურების მიღება უნდა გააჩნდეს არანაკლებ 1 სერვის-ცენტრი თბილისში.

2.3 საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1-ის მე-2 პუნქტით წარმოდგენილი ცხრილით განსაზღვრული კილომეტრაჟის მიხედვით. მიმწოდებელმა გეგმიური მომსახურება ჩატარება უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის დაფიქსირებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4 დანართი №1-ის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფასები ძალაშია ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე ფლობის განმავლობაში, თუ ავტომობილის ტექნიკური მომსახურება განხორციელდება მიმწოდებელთან ან მის მიერ განსაზღვრულ პირთან; საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ თავდაპირველად შემოთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის ფიქსირებული ეროვნული ბანკის კურსით უცხოურ ვალუტაში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტაში - საქონლის ფაქტიური მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით;

პრეტენდენტის დასახელება: შპს „ავტო მოტორს ჯორჯია"

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი:

"KIA MOTORS GEORGIA" LTD • 236096675 • KIA MOTORS GEORGIA

შპს "კია მოტორს ჯორჯია"
თბილისი,
აღმაშენებლის ხეივანი II კმ.
საქართველო

KIA MOTORS GEORGIA LTD
AGMASHENEBELI ALLEY. II KM
TBILISI
GEORGIA

KIA MOTORS
The Power to Surprise™

დანართი 2

საგარანტიო მომსახურების პირობები

კიას მარკის ავტომობილებზე დადგენილია შემდეგი საგარანტიო ვადები - 5 წელი ან 150 000 კმ (რომელიც პირველი შესრულდება). საიდანაც 3 წელი გარანტია ვრცელდება მთლიანად ავტომობილზე სავალი ნაწილის ჩათვლით, ხოლო 5 წელი ძრავზე, გადაცემის კოლოფსა და ხიდებზე.

სამუშაოთა ნუსხა, რომლებზეც გარანტია არ ვრცელდება

1. დიაგნოსტირებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო, აგრეთვე შემოწმება სამუხრუჭე სტენდზე
2. საბურავების შესაბამისობა და დამონტაჟების კუთხის რეგულირება
3. საბურავების ბალანსირება
4. საწვავის დანახარჯის დადგენა
5. ძრავის რეგულირების კორექტირება
6. კარებისა და ლუქის სახურავების სტანდარტული მდებარეობის შესწორება-რეგულირება, მათ მთელ პერიმეტრზე დაშორებების შემცირება სალონში ხმაურის შეძლებისდაგვარად აღკვეთის მიზნით
7. ფარების განათების რეგულირება
8. საწვავის ავზის, მილგაყვანილობის, საწვავის ტუმბოს, მფრქვევანას და საწვავის სისტემის სხვა ნაწილების გაწმენდა

KIA-ს ავტომობილების სათადარიგო ნაწილების ნუსხა, რომლებზეც გარანტია არ ვრცელდება

9. გახურების ნათურა
10. ანთების სანთელი
11. გახურების სანთელი
12. დამცველები
13. სამუხრუჭე ხუნდები
14. გადაბმულობის ამყოლი და მიმყოლი რგოლი (ფრიქციონები)
15. ზეთის, ჰაერისა და საწვავის ფილტრები
16. საბურავები
17. მინის მრეცხავები

საგარანტიო ვადის ათვლა იწყება ავტომობილის მყიდველისთვის გადაცემის მომენტიდან.

გარანტია გულისხმობს უვარგისი ნაწილის, აგრეთვე საწარმოო დეფექტის მქონე კვანძებისა და აგრეგატების რემონტს ან შეცვლას (შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში), მათ მონტაჟთან/დემონტაჟთან დაკავშირებულ უფასო მომსახურებას. ამასთან ავტომობილი უნდა გადიოდეს სავალდებულო ტექნიკურ მომსახურებას სადილერო ცენტრში .

საგარანტიო ვალდებულებები არ ვრცელდება ბუნებრივი ცვეთით გამოწვეულ დეფექტებზე, არასწორი ექსპლოატაციით ან სერვისით, აგრეთვე ავტომობილის კონსტრუქციაში დილერთან შეუთანხმებელი ცვლილებების შეტანით გამოწვეულ დაზიანებებზე

დირექტორი

მიხეილ ბაჩიაშვილი

"KIA MOTORS GEORGIA" LTD • 236096675 • KIA MOTORS GEORGIA